

კ. კეკელიძე

## იოანე ქართველის კალენდარი

(X ს.)

შესწორებული ტექსტი და გამოკვლევა

შესავალი

1. წინამდებარე ნაშრომის საგანია იოანე-ზოსიმეს «კალენდარი» ან «სვინაქსარი», რომელიც გამოცემულია აკად. ი. ჯავახიშვილის «სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში» (გვ. 200—226, 1947 წ.). ეს ძეგლი ერთ-ერთი საყურადღებო ძეგლია ჩვენი უძველესი მწერლობისა (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I<sup>2</sup>, 148), ამიტომ მართკ გამოცემა მისი არ კმარა, საჭიროა მისი ანალიზი, გარკვევა მისი რაობისა, მეცნიერული ღირებულებისა და ადგილისა სხვა ენაზე არსებულ ანალოგიურ ნაწარმოებთა შორის. თავისთავად გასაგებია, რომ ხელნაწერთა აღწერილობაში გამოცემული ძეგლისა ამგვარ მიზნებს ვერ დაისახავდა, ამიტომ ამ ხარვეზის ამოვსება განვიზრახეთ ჩვენ, რათა დაინტერესებულ პირთ დავანახოთ, თუ რამდენად მნიშვნელოვან ძეგლთან გვაქვს საქმე. ჩვენ სხვა მოსაზრებაც გვაშობდა ამ შემთხვევაში. ტექსტი ნაწარმოებისა, გადამწერის, იოანე-ზოსიმეს, მხედველობის სისუსტის (ამას ის ხაზს უსვამს ხოლმე თავის შრომებში) თუ მისი წყაროების გაურკვეველობისა და დეფექტურობის გამო, ძალზე დამახინჯებულია, განსაკუთრებით ონომასტიკურ ნაწილში. ეს დამახინჯებანი, სამწუხაროდ, გადმოსულა თვით გამოცემაში. სადაც ზოგი შეუმჩნეველი დარჩენილა, ზოგი შემჩნეულია, მაგრამ გასწორება მათი ვერ მოხერხებულა თუ საჭიროდ არ მიჩნეულა, რის გამოც გამოცემა გაკვირვების (!) თუ კითხვითი (?) ნიშნებითაა აჭრელებული. ამ გარემოებამ გვაიძულა მიგვეცა დაინტერესებულ პირთათვის შესწორებული ტექსტი ნაწარმოებისა, ამან კი საჭირო გახდა ხელახალი მისი გამოცემა.

იოანე-ზოსიმეს ტექსტზე, ი. ჯავახიშვილის თავაზიანი ნებართვით, ჩვენ ვმუშაობდით ჯერ კიდევ 1926 წელს, როდესაც დაშუადებულ იქნა წინამდებარე ნაშრომი, ტექსტის ლათინური თარგმანის თანდართვით. თავისთავად იგულისხმება, რომ გამოქვეყნებით ამ შრომას ვერ გამოვქვეყნებდით, სანამ არ გამოვიდოდა განსვენებული მეცნიერის გამოცემა.

2. წინამდებარე ძეგლი წარმოადგენს შრომას, რომელსაც ძველს მწერლობაში ეწოდება კალენდარი და სვინაქსარი. სიტყვა «კალენდარი»

(Calendarium) წარმოშვა ჩვეულებამ, რომლის მიხედვით რომში საგანგებო მოხელე, შემდეგ Pontifex Maximus, ყოველი თვის დამდეგს გამოუძახებდა ხოლმე (αχάλα) ახალს მთვარეს. წარმართთა კალენდარში თვეთა რიცხვებით აღნიშნული იყო ღმერთების დღესასწაული, იმპერატორების დაბადების თარიღი, სენატის სხდომის დღეები და სხვ. თავდაპირველად ამ კალენდრებით სარგებლობდნენ ქრისტიანებიც, რომელნიც მათში, ამათუიმ რიცხვის ქვეშ, აღნიშნავდნენ ხოლმე თავიანთ, ქრისტიანულ, წმიდათა ხსენებას და დღესასწაულებს. ასეთია ფილოქალის კალენდარი 354 წლ., პოლემიუს სილვიუსისა 448 წლ., საკონსულო ფასტები 500 წლ. და სხვ.

«სვინაქსარი» ბერძნული სიტყვაა (συναξαριον) და ნიშნავს კრებას. ასეთი სახელწოდება იმიტომ მიიღო ქრისტიანთა კალენდარმა, რომ დიდს დღესასწაულებსა და საჩინო წმიდათა ხსენების დღეებში მორწმუნენი კრებებს მართავდნენ ხოლმე მათ სადიდებლად და პატივსაღებად.

თავდაპირველად თითოეულს ეკლესიას ან მორწმუნეთა საზოგადოებას, რომელიც დამყარებული იყო ნაციონალურს, ადმინისტრაციულს თუ კონფესიურს პრინციპზე, ჰქონდა თავისი საკუთარი კალენდარი, რომელშიც აღნიშნული იყო ამ ეკლესიის წმიდანი და დღესასწაულები. ასე, მაგალითად, ცნობილია დღეს რომის, კართაგენის, გუთების, სირიელთა, იერუსალიმის, კონსტანტინოპოლის და სხვ. კალენდარი. დროთა მსვლელობამ და ეკლესიაში გამეფებულმა უნიტარულმა პრინციპმა ხელი შეუწყო ადგილობრივ კალენდართა კონცენტრაციას და გაერთიანებას, რამაც წაბლალა მათი ინდივიდუალობა და დაფარა მათი სპეციფიკური თავისებურება. ამით აიხსნება, რომ მეცნიერებაში დღეს დიდს ყურადღებას აქცევენ ადგილობრივი კალენდარების მოძებნასა და აღდგენას. ამ ადგილობრივ კალენდართა შორის იოანე-ზოსიმეს კალენდარს ერთ-ერთი პირველი ადგილთაგანი უნდა მიეკუთვნოს.

მ. კალენდარი, რომელსაც ჩვენ ვსცემთ, ეკუთვნის ქართულს მწერლობაში კარგად ცნობილს იოანე-ზოსიმეს. იოანე საზღვარგარეთელი მოღვაწეა, რომელსაც პირველი ნახევარი თავისი მოღვაწეობისა (დაახლოებით 930—960 წლ.) გაუტარებია პალესტინაში, საბაწმინდის ლავრაში, მეორე ნახევარი (დაახლოებით 960—987 წლ.) სინას მთაზე, სადაც ის გარდაცვლილა კიდევაც ღრმად მოხუცებული 990 წლის ახლო ხანებში (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I<sup>2</sup>, 144—150). კალენდარი მოთავსებულია კრებულში, რომელსაც იადგარი ეწოდება და რომელიც დღეს სინას მთაზე ინახება (№ 34 პროფ. ი. ჯავახიშვილის აღწერილობით და № 19 პროფ. ა. ცაგარლის კატალოგით). სრული სათაური ამ კრებულისა ასეთია: «საგალობელნი იადგარნი, რომელსა შინა წერილ არიან დღესასწაულნი ყოველნი, ახალნი და ძუელნი, სრულიად, და ქამნი ათორმეტნი სრულიად, ქართულად და საბაწმინდურად, და ქორონიკონი სრულიად». როგორც ამ სათაურიდან ჩანს, შინაარსი კრებულისა მრავალფეროვანია, ის თავისებურ ენციკლოპედიას წარმოადგენს, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პალესტინის ისტორიის, არქეოლოგიის და ტოპოგრაფიისათვის, ერთის-

მხრით, მეორე მხრით აგიოლოგიის, ჰიმნოგრაფიის და ლიტურგიკის ისტორიისათვის საზოგადოდ და ქართულისათვის კერძოდ. კრებული, რომელშიც კალენდარს 25 ა—33 ხ გვერდები უკავია, გადაწერილია საბას ლავრაში „მეცნიერისა კაცისათვის“ 956 წელს, როდესაც იოანეს. მისი სიტყვით, თვალები საკმაოდ დასუსტებული ჰქონია. სხვათა შორის, ალბათ, ამითაც აიხსნება ის უამრავი შეცდომა კალენდარში, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. გადაწერილია კალენდარი ნუსხა-ხუცურით, მეტად წვრილი, მძიმე და გაურჩეველი ხელით, რომლის კითხვას აძნელებს უფრო ის გარემოება, რომ გამწვანების სიტყვებსა და სტრიქონებს შუა ჩაუმატებია შემდეგ ახალი სიტყვები და სტრიქონები. ალაგ-ალაგ წაუშლია დაწერილი და მის მაგიერ ახალი ჩაუწერია.

4. კალენდარს, მისი ავტორის ტერმინოლოგიით, ეწოდება „კრებანი“, რაც უდრის ბერძნულს *συναξάριον*-ს. «ესე კრებანი», ამბობს იოანე-ზოსიმე, ოთხითა დედითა დამიწვრიან: თავად კანონისაჲთა, და საბერძნეთისაჲთა და იერუსალიმისაჲთა, და საბაწმიდისაჲთა, ესე იგი — ამ სვინაქსარს სარჩულად დაედო ოთხი კალენდარი: კანონის, საბერძნეთის, იერუსალიმის და საბაწმიდის. ავტორის სიტყვები ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს ეს ოთხი კალენდარი პარალელურად იყოს მოცემული ტექსტში, არამედ ისე, რომ „თავად“, ესე იგი საფუძვლად, აღებულია ტექსტი კანონის კალენდრისა და იმაში თვეთა სხვადასხვა რიცხვის ქვეშ შეტანილია ღირსშესანიშნავნი წმიდანი და დღესასწაულნი საბერძნეთის, იერუსალიმის და საბაწმიდის კალენდრიდან. ამით აიხსნება, რომ, როგორც ზევითაც ვთქვით, ტექსტში, სიტყვებსა და სტრიქონებს შუა, ავტორს ახალი სიტყვები და სტრიქონები ჩაუმატებია, რომლებიც, ზოგიერთ შემთხვევაში, აშიებზედაც კი მოუთავსებია.

საბერძნეთის „დედაჲ“ არის კალენდარი კონსტანტინოპოლის „დიდის ეკლესიის“ ან აია-სოფიისა, რომელსაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში ჰქონდა მოპოვებული ბატონობა. ცნობილია, რომ მეშვიდე საუკუნიდან იერუსალიმის საპატრიარქო დაცემისა და დაკნინების გზაზე დადგა ჯერ სპარსთა (614 წ.) შემოსევისა და მერე მაჰმადიან არაბთა (637 — 638 წ.) მიერ დაპყრობის გამო. ამიტომ ის მნიშვნელობა და ბატონობა, რომელიც ამ საპატრიარქოს მოპოვებული ჰქონდა მთელს საქრისტიანოში, როგორც ქრისტიანობის აკვანს, შესუსტდა და შემცირდა: ასეთი მნიშვნელობა ამიერიდან მიენიჭა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, რომელიც გარეშეთა, ისიც არაქრისტიანთა ბატონობისაგან თავისუფალი იყო და რომელიც იუსტინიანე დიდის დროიდან აყვავების უმაღლეს ხარისხზე ავიდა. მან შეიმუშავა შესაფერისი საპატრიარქო — საღვთისმსახურო რიტუალი, ტიბიკონი და კალენდარიც, რომელიც სხვა საპატრიარქოსთვისაც მხედველობაში მისაღები და ანგარიშგასაწევი გახდა.

საბაწმიდის „დედაჲ“ გულისხმობს იმ წესებსა და კალენდარს, რომელიც საბაწმიდის ლავრაში იყო მიღებული. ამ ლავრას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთ-საქრისტიანოში, ის სათავეში უდგა აღმოსავლეთის ბერძონაზნობას, საქრისტიანო ცხოვრებას, მწერლობას და კულტურას

VI—IX საუკუნეთა სიგრძეზე. მისი ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ მის მიერ შემუშავებული წესები ლეთისმახურებისა და სამონასტრო დისციპლინისა, „საბაწმიდის ტვიპიკონის“ სახელწოდებით, მეათე—მეთერთმეტე საუკუნიდან მოყოლებული, სახელმძღვანელოდ არის მიღებული აღმოსავლეთის ეკლესიაში.

იერუსალემის „დედაჲ“ ჰგულისხმობს იმ ტრადიციებს, რომლებიც გაბატონებული იყო იერუსალიმისა და მის მიდამოებში მდებარე მონასტრებში; ასეთებია ისტორიულად ცნობილი მონასტრები: ექვთიმე დიდისა, თევდოსი დიდისა, გერასიმე იორდანელისა, ხარიტონისა და სხვ. უფრო კი ეგრეთწოდებული სპონდიონთა მონასტერი (იხ. 11 აგვისტო), რომელიც მეხუთე საუკუნეში იქმნა დაარსებული. ეს მონასტრებიც, რასაკვირველია, საბაწმიდის ლავრის გავლენას განიცდიდნენ, მაგრამ მათ ჰქონდათ თავიანთი საკუთარი, სპეციფიკური ტრადიციებიც, განსაკუთრებით სპონდიონთა მონასტრის; ლიტურგიკის ისტორიაში საკუთრივ სპონდიელთა მონასტრის ტვიპიკონიც კია ცნობილი. უეჭველია, პალესტინა-იერუსალიმის ნაკადმა შემოიტანა იოანე-ზოსიმეს კალენდარში სახელები თითქმის ყველაიმ მოწამეებისა, რომელთა შესახებ ლაპარაკია ევსევეი კესარიელის თხზულებაში *Περὶ τῶν ἐν Παλαιστίνῃ μαρτυρησάντων*; ევსევის 42 მოწამეთაგან ჩვენს კალენდარში 38 მოწამეა შეტანილი<sup>1</sup>.

იოანეს კალენდარში პალესტინის მონასტერთა, კერძოდ საბაწმიდის, ეორტოლოგიურ-აგიოლოგიური ელემენტების შეტანა ბუნებრივი იყო, ერთი მხრით, იმიტომ, რომ იოანე მოღვაწე იყო პალესტინისა, მეორე მხრით — იმ კულტურულ-ლიტერატურული კავშირის გამო, რომელიც გაბმული იყო ძველად ქართლსა და პალესტინას შორის. უფრო საყურადღებოა ამ ძეგლში კონსტანტინოპოლის ელემენტები; ეს მაჩვენებელია იმ პროცესისა ჩვენს კულტურულს წარსულში, რომლის გამო ქართველებმა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან დაახლოვების ძებნა დაიწყეს. ამ პროცესმა, რომელიც მეცხრე საუკუნეში დაწყებულა (გრიგოლ ხანძთელი, ილარიონ ქართველი), განსაკუთრებით თავი იჩინა მეათე საუკუნეში და საბოლოოდ მეთერთმეტეში ჩამოყალიბდა.

რაღა უნდა იყოს „კანონი“, რომელიც „თავადი“ ან მთავარი დედანი გამხდარა იოანე-ზოსიმესათვის კალენდრის შედგენის დროს?

<sup>1</sup> ესენია: პროკოპი კესარიელი (23 ივნ. 8,9 ივლ.), ალფიანე — ალფეოზი კესარიელი (17 ნოემ.), ზაქშენო კესარ. (17 ნოემბ.), პრომანი დიაკონი კესარ. (17 ნოემბ.), ტიმოთე მოწამე კესარ. (4 თებ.), ალაპი კესარ. (24 ნოემბ.), ალაპი, ორი ალექსანდრე, დიონისი, ტიმოლა, პაესიოსი, პრომელე (8 თებერ. 23,24 მარტ.), სელევკოს (17 თებერ.), ოლფიანე-ულფიანე (26 ივნ.), თეოდოსია (2 აპრ., 29 მაის.), სილოვანე კესარ. (3,4 მაის. 8 ნოემ.), დომინო და ორბეოცი (13 ოკტ. 5 ნოემ.), ვალენტონა კესარ. (16 ივლ.), პამფილე, პავლე, ვალენტოს, პორფირე, თევდულე, ივლიანე კესარ. (6,16 თებ.), ალაპი, ადრიანე და ევბულე კესარ. (6 მარტ.), ჰელიონ, ნილოსი, პატერმოთეოზი, ელია კესარ. (11,19 სექტ.). არე. პოომეთეოს და ელია მეგვიპტ. (11 ივნ. 14 დეკტ.), ანტონინე, ზაბინე, გერმანე და ბენო (ბენო უნდა უდრიდე ენნათა. რომელსაც ძეგლებში ეწოდება Βαναμად) კესარიელნი (13 ნაემბ.).

5. კანონი არის ჩვენ მიერ გამოცემული „იერუსალიმის განჩინება“ (K. K. S. E. J. I. d. z. e, Иерусалимский Канонарь VII века. Тираж 1912 г.), რომელიც ქრისტეს საფლავზე იყო მიღებული იერუსალიმში და უმთავრესად საპატრიარქო ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი. ეს კანონი შესულა იოანეს კალენდარში მთლიანად, იმ მოცულობით, რა მოცულობითაც წარმოდგენილია ის ჩვენს გამოცემაში<sup>1</sup>. იოანეს, მაშასადამე, ორჯერ გამოუქვეყნებია ეს კანონი: ერთხელ ლიტურგიკული მიზნით (Иерус. Канонарь-ში), მეორედ — აგიოგრაფიული მიზნით, როგორც კალენდარი. თარგმნით, რასაკვირველია, იოანეს არ უთარგმნია ეს კანონი, ის გაცილებით ადრე, არა უგვიანეს მერვე საუკუნის ნახევრისა (Иер. Кан. стр. 26), იყო ცნობილი; ყოველ შემთხვევაში დღეს აღმოჩენილია ერთი პალიმფსესტური ფრაგმენტი მისი, არა უგვიანესი მერვე საუკუნისა (ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, უნივერ. მოამბე, III, 463—5, 368)<sup>2</sup>. მთავარი, ძირითადი შრე კანონისა, როგორც ქართულს თარგმანში ისე F. Conybeare-ს მიერ გამოცემულს უძველესს სომხურს ლექციონარში (Rituale Armenorum, Oxford, 507—532), უქვევლად მეშვიდე საუკუნის, სახელდობრ სოფრონ იერუსალიმე-

<sup>1</sup> ამ კალენდრის მიხედვით „იერუსალიმის განჩინებაში“ უნდა შეტანილ იქნეს შემდეგი შესწორებანი: სოფონია (განჩინებაში) — სოფრონ (11 მარტი), პამა — მამა (3 მაისი), აგაპი — აგაი (10 მაისი, 3 ნოემბ.), იოვანე — ივლიანე (27 მაისი). ნონონ — კონონ (5 ივნ.). მანთაასი — მანათაასი (16 ივლ.), სალომტინე — სალოსტინე (24 ივლ.), ელიანე — ივლიანე (12 აგვ.), მარტკლი (სახელი) — მარტკლი (მოწამე, 27 აგვ.). დადგამა წმიდისა ეფემისა — და დაგამა წმიდისა ეფემიასი (11 სექტემბ.), კსენება კოხმანისი რომელი ქართლს იწამა — კსენება კოხმანისი და დამიანსი მარტკლოა და შუშანიკისი რომელი ქართლს იწამა (17 ოქტომბ.), ლავრიტეწმიდას — ლავრენტიწმიდას (18 ოქტომბ.), პლანტიანსი — პლატონისი (22 ოქტომბ.), ანასტასიას კსენება — ანასტასიას კსენება ანდრეა მოციქულისა (30 ნოემბ.), კათელმას — კათებმას (2 დეკემბ.). თებსი ეფემიანსი — თევდორსი ეფემიასი (12 დეკემბ.).

<sup>2</sup> გერმანული თარგმანი ამ კანონის ერთ-ერთი რედაქციისა გამოსცა 1923 წელს ბონის უნივერსიტეტის პროფესორმა H. Goussen-მა (Die Festordnung und Heiligenkalender des altchristlichen Jerusalem); საფუძვლად ამ გამოცემას დასდებია XI—XII ს. ხელნაწერი პარიზის ეროვნული წიგნთსაცავისა № 3, რომელსაც ცოტა რამ ჰკლებია. Goussen-ის გამოცემა, ამ ჩვენს გამოცემასთან შედარებით, შეიცავს რამდენიმე ხედმეტ სახელს: 1, 4 თებ. 18 მარტ., 2—11, 15—17, 20, 25, 27 აპრ., 3, 11, 14, 15, 16, 19, 20, 23, 24, 28 მაისი, 8, 11 ივნისი, 13, 19, 22, 25, 28 ივლ., 2, 4, 10 აგვ., 11, 14, 16 ოქტომბ., 4 ნოემბ., 18 დეკემ. Goussen-ის გამოცემა და კომენტარებში, იოანეს კალენდრის მიხედვით, შეიძლება რამდენიმე კორექტურის შეტანა, მაგალითად: გერმანულ კონსტანტინეპოლელი და არა ფილიპე მოციქულისი ქალი (2 მარტ.), ორთა ალექსანდრეთა და არა der beiden Dionysios (23 მარტი), არა grosses Fasten ალექსანდრეს და ალაპის სახელობისა (24 მარტ.), არამედ — „დიდი მარტკლობა რომელი იყო დღესა ბზობისასა“; საბინოს და არა ლაბან (26 მარტ.), პეტრე ალექსანდრიელი და არა იერუსალიმელი (18 აპრ.), გევბალეს დაბა და არა გელბანოს შენებული (21 მაისი), ევგენია და არა Goino (3 ივნ.), ტარასი და არა ტარახი (14 ივნ.), დომენტო და ემელიანოს და არა დომენოს და ემნოს (9 აგვ.), პეტრე იერუსალიმელი და არა პეტრე მოციქული (26 ნოემბ.), ზოგიერთი სახელი იოანეს კალენდარში და Goussen-ის გამოცემაში ისე განსხვავებულადაა მოყვანილი, რომ ძნელია გარკვევა, სად უნდა იყოს სიმართლე; ასეთებია აბუქი — აბბაოპ (3 თებ.), ვესიგნი — ვესუსიკი (5 თებ.). ევთიმი — ეფრემი (12 მაისი), თევდოსია — ევდოქსია (29 მაისი), აფთონის — ანათონ, resp. აფრონის (12 ივლ., 14 ნოემბ.), თუთაელი — თობელი (5 აგვ.). ევმიოქი — ბეთლემი (29 ოქტ.), ზენობია — ზენონი (30 ოქტ.).

ლის (634—644) დროისაა (Иерусал. Канонарь, стр. 26); ეს, სხვათაშორის, ჩანს შემდეგი ფორმულიდან: ექსენებად იერუსალიმელთა პატრიარქთაჲ იაკობისითგან ვიდრე მოდისტოსისამდე (17 მაისი),—თავდაპირველს რედაქციაში იერუსალიმელ პატრიარქთა სია თავდებადა, მაშასადამე, მოდისტოსით (614—634). მაგრამ იოანე-ზოსიმეს კალენდარში უნებლიეთ უნდა შესულიყო ისეთი ეორტოლოგიურ-აგიოლოგიური ელემენტები, რომელნიც დამახასიათებელია შემდეგი საუკუნეებისა. მართლაც, მოდისტოსის შემდეგი დროიდან კალენდარში შეტანილია: სოფრონ იერუსალიმელი (10, 11, 21 მარტ. 11 მაისი) გარდაცვ. 644 წ., მაქსიმე აღმსარებელი (21 იან. 11 აგვ.) გარდაცვ. 662 წ., მეექვსე მსოფლიო კრება (22 აპრ.) 680 წ., ანდრია კრიტელი (4 ივლ.) გარდაცვ. 712 წ., გერმანე კონსტანტინოპოლელი (2 მარტ.) გარდაცვ. 740 წ., პეტრე კაპეტოლელი (23 ნოემბ.) გარდაცვ. 744 წ.<sup>1</sup>, იონე დამასკელი (4 დეკ.) გარდაცვ. 750 წ., ნიკოდემოს მამასახლისი (13 მარტ.) და სტეფანე ქინოლაკელი (14 იანვ.) მერვე საუკ. ნახევრისა. ილია დამასკელი (4 თებ.) გარდაცვ. 779 წ., რომან ახალი (1 მაისი) გარდაცვ. 780 წ.<sup>2</sup>, ქრისტეფორე (13 აპრ.) თანამედროვე მაჰდი ხალიფასი (775—785), სტეფანე საბაწმიდელი დაყუდებული (2 აპრ.) გარდაცვ. 794 წ., საბას ლავრაში დამწვარნი (19, 24 მარტ.) გარდაცვ. 797 წ., ანტონი რაეახი (19 იან.) გარდაცვ. 805 წ., ბაქოზი (11 აპრ.) იმავე დროს, ტარასი კონსტანტინოპოლელი (25 თებ.) გარდაცვ. 806 წ., სტეფანე საბაწმიდელი (1 აპრ.) გარდაცვ. 807 წ., თეოფანე სიგრიანელი (12 მარტ.) გარდაცვ. 817 წ., თომა იერუსალიმელი (16 მაისი) გარდაცვ. 820 წ. შემდეგ, ათანასი ნიკომიდიელი (22 თებ.) გარდაცვ. 821 წ., თევდორე აღმსარებელი (4 ივლ.) გარდაცვ. 826 წ., ნიკიტა მიდიკიელი (3 აპრ.) გარდაცვ. 824 წ., ბასილი იერუსალიმელი (2 ივლ.) გარდაცვ. 842 წ., თეოფილაქტე ნიკომიდიელი (7 მარტ.) გარდაცვ. 942 თუ 845 წ., პავლე პრუსელი (8 მარტ.) გარდაცვ. 847 წ., სერგი იერუსალიმელი (15 იან.) 843—859 წ., სოლომონ იერუსალიმელი (14 თებ.) 859—864 წლ. ამნაირად, აგიოგრაფიულ-ეორტოლოგიური წყაროები, რომლებიც ხელთა ჰქონია იოანე-ზოსიმეს თავისი კალენდრის შედგენისას, მეცხრე საუკუნის სამოციან წლებამდე აღის.

6. იოანე-ზოსიმეს, რომელიც ქართველებისათვის სწერდა თავის შრომას (ამით აიხსნება მისი შენიშვნები აქა-იქ: ბერძნები თუ საბაწმიდელნი ასე და ასე იქცევიან, „ხოლო თქვენ რაჲ ან „ერთა გინებთ ყავთო“), არ დაუსახელებია მეხუთე წყარო ამ შრომისა,—ქართული. საქმე ისაა, რომ კალენდარში ჩვენ გვაქვს აგრეთვე წმიდა ქართული დღეობანი და ხსენებანი, რომელნიც იმ დროს გამოძევაზედუღნი ყოფილან ჩვენში; ესენია: აბო ტფილელი (7 იან.), წმ. ნინო

<sup>1</sup> К. Кекелидзе, Жизнь Петра Нового, мученика Капетолийского: Христиан. Восток, т. IV, вып. 1, стр. 1—71.

<sup>2</sup> К. Кекелидзе, Новооткрытый агиологический памятник иконоборческой эпохи (Жизнь Романа нового): Труды Киевск. Духов. Академии 1910 г. январь. P. Peeters, S. Romain le néopatry: Analecta Bollandiana, t. XXX. А. Хаханов, Материалы по грузин. агиологии, стр. 25—46.

(14 იანვ.), არჩილ მეფე (15 იან.); კათოლიკოზი მამაე (3 მაისი), ჯვარი მანგლისისა (20 მაისი), ჯვარი მცხეთისა (კვირიაკესა მესამესა ზატიკოსასა და ოთხშაბათსა შემდგომად მარტვილისა), შუშანიკ დედოფალი (17 ოქტ.), ყოველნი წმიდანი მოწამენი ქართლსა შინა წამებულნი (11 დეკემ.). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, პროფ. Goussen-ის აზრით, სამოელ ეპისკოპოსი, რომელიც 24 თებერვალს იხსენიება. უნდა იყოს პირველი კათოლიკოზი ქართლისა სამოელი (გვ. 14); მაგრამ ეს იმდენად საეჭვოა, რამდენადაც მისი პირველი კათოლიკოზობა და სირია-პალესტინიდან მოსლვა ჩვენში<sup>1</sup>.

როდესაც ქართულ ელემენტს ვეხებით ამ კალენდარში, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ შემდეგს გარემოებას; იქ, სადაც იწყება მაისი, აშინაზე მიწერილია: „ესე თთუჴ არის ვარდობისაჲ მაისი“. ამნაირად, ვარდობის თვედ, რომელიც ძველად, მოძრავი კალენდრით, ივნისსა და ივლისში მოდიოდა, აქ საბოლოოდ მისია მიჩნეული? ამით აიხსნება რომ 15 მაისს აქ ნათქვამია: „ღმრთისმშობლისაჲ ტაძრად მიყვინებაჲ“. 15 მაისს, ძველი ქართული საგალობლებით, დადებული ყოფილა „ვარდობაჲ ღმრთისმშობლისაჲ“, ესე იგი — ღვთისმშობლის რაღაც დღესასწაული, რომელსაც პროფ. ნ. მარი უკავშირებს ღვთისმშობლის მიერ ელისაბედის „მოკითხვას“, როდესაც უკანასკნელმა მუცლად იღო იოანე ნათლისმცემელი (ლუკა I, 36—40). როგორც შესატყვისი ძეგლებიდან ჩანს, ძველად აღმოსავლეთში (სირია, თინიკია, მესოპოტამია) მონოფიზიტებსაც და მართლმადიდებლებსაც 15 მაისს დადებული ჰქონიათ დღესასწაული „ღვთისმშობლისა პურის თავთავთა ზედა“<sup>2</sup>. რადგანაც როგორც „ვარდობა“, ისე „პურის თავთავობა“ საკმაოდ გაურკვეველი იყო ქრისტიანთა ეკლესიური შეგნებისათვის, მათ მაგიერ 15 მაისს დაუდევით შემდგომში გამომუშავებული დღესასწაული ღვთისმშობლისა, სახელდობრ ტაძრად მიყვანება, რომელიც ახლანდელს ადგილს (21 ნოემბ.) იჭერს არაუადრეს 715 წლისა. ამნაირად იოანე-ზოსიმეს კალენდარს, აღნიშნულს მუხლში, შემოუნახავს უძველესი აღმოსავლური ტრადიცია, მის დროს უკვე საკმაოდ სახეშეცვლილი.

ესევე უნდა ვთქვათ ეგრეთწოდებულის ნინეველთა მარხვის შესახებ, რომელიც ამ კალენდარშია აღნიშნული. ნინეველთა მარხვა არის უძველესი აღმოსავლური სირო-ქალდეური, კობტური, ეთიოპური და კერძოდ სომხური; აღაჯორის, гешу. არაჯორის მარხვა<sup>3</sup>, რომელიც პასეკს 69 დღით უსწ-

<sup>1</sup> Goussen-ის მიერ გერმანულად გამოცემულს პარიზის რედაქციაში ხელნაწერის ბოლოში (ფ. 301 შემდ.) ჩამოთვლილია შემდეგი ქართველი წმიდანი: წმ. ნინო (აღდგომის მეორე შაბათს), არჩილ მეფე (8 იანვ.), რაქდენი 26 ივნ.), ბიბო (6 ივლ.), შუშანიკი (17 ოქტომბ.), აგრეთვე დღესდღეობით უცნობნი: წმ. მებკაძე (16 აგვ.), წმ. სარბეანი (21 აგვ. კათოლიკოზი?), წმ. მართალნი წმიდისა ქრისტეს საფლავისანი: იოანე, სტეფანე, და ისაია (4 ნოემბ.), რომელნიც, Goussen-ის აზრით, უნდა იყვნენ სპონდიონთა მონასტრის (იერუსალიმში) ქართველი ბერები (გვ. 40).

<sup>2</sup> Проф. Н. Марр. Арханы, монгольское название христиан, в связи с вопросом об армянах-халкедонитах (Визант. Временник, т. XII, стр. 53—57).

<sup>3</sup> Проф. В. Болотов, Следы древних месяцесловов поместных, церквей, стр. 188, 191, Петерб. 1893 г.

<sup>4</sup> Проф. И. Мансветов, О постах православной восточной церкви, стр. 46—51; проф. И. Карабинов, Постная трюдь, стр. 23—24. კ. კეკელიძე,

რებს წინ (მეზერისა და ფარისეველის კვირიაკის შემდეგ, ორშაბათს) და რომელსაც სომეხ-ქართველთა ეკლესიური ურთიერთობის დროს ადგილი ჰქონდა ქართლში<sup>1</sup>. ჩვენი ძველი ერთს ადგილას ლაპარაკობს ამ მარხვაზე, როგორც წარსული დროის მოვლენაზე, ის გვაწვდის ისტორიულ ცნობას, რომ ეს მარხვა ოდესღაც, იონა წინასწარმეტყველის ხსენებასთან დაკავშირებით, 13, 14 და 15 ივლისს „ყოფილა“-ო, ხოლო ორ ადგილას იხსენიებს მას როგორც ცოცხალს, თანამედროვე ფაქტს, რომელიც ხორცთა აღების პარასკევს არის დადებული. იოანე-ზოსიმეს დროს და უფრო ადრეც, მეცხრე საუკუნეში (კათოლიკოზი არსენ დიდი) „არაჯორის“ წიმაალმდეგ ქართლში გამწვავებული პაექრობა იყო, ასე-რომ აღნიშვნა მისი, როგორც ცოცხალი ფაქტისა, უნდა ეკუთვნოდეს კანონის ქართულად გადმოღების ხანას, VII—VIII საუკუნეს, როდესაც ეს მარხვა ტრადიციით კიდევ ცოცხალი ყოფილა ჩვენს პრაქტიკაში, თუმცა არა მისი სომხური სახელით, არამედ ისეთით („ნინეველთა მარხვა“), რომელიც ისტორიულ სინამდვილესაც შეესაბამებოდა და ქართველთა კონფესიურ გრძნობასა და შეგნებასაც ნაკლებად ბღალავდა.

7. ყურადღებას იქცევს ჩვენს კალენდარში დღესასწაულთა ხარისხებად დაყოფა და მათი საგანგებო ნიშნებით აღნიშვნა: ესე ნიშანი ⊕ ლამისთევისაჲ არს: და ესე ნიშანი × სპირინისათჳს არს: და ესე ნიშანი = ჟამისწირვისათჳს არს საბაწმიდისა წესსა ზედაჲ. აქ სამი კატეგორიის დღესასწაულია დასახელებული: დღესასწაული, რომელიც ლამისთევით გადაიხდების, ანუ ეგრეთწოდებული დიდი დღესასწაული, კალენდარში თერთმეტი ასეთი დღესასწაულია აღნიშნული. დღეწასწაული, რომელიც მარტო სპირინით, ან მწუხრით (ἐμπειρα-ἐμπειρα), შესრულდების, ასეთია კალენდარში 18 დღესასწაული; დღესასწაული, რომელიც ჟამისწირვით გარდაიხდების და რომელთა რიცხვი კალენდარში 83-ა. მეორე და მესამე კატეგორიის დღესასწაულები უნდა გულისხმობდნენ ეგრეთწოდებულს საშუალოსა და მცირე დღესასწაულებს, თუმცა ცხადად არ არის ნაჩვენები — რომელი რომელს გულისხმობს. მეცნიერებაში ისეთი აზრი იყო განმტკიცებული, რომ პრინციპი დღესასწაულების ხარისხად დაყოფისა და მათთვის საგანგებო ნიშნების მოგონებისა შემოდის პრაქტიკაში ნიკონ შავმთელის დროიდან, რომელიც 1088 წელს დაწერილს თხზულებაში, ტაქტიკონში, ამბობს: „დიდს დღესასწაულებს ნიშნად აქეთ წრეში ჩამჯდარი ჯვარი †, საშუალოს — მარტო ჯვარი †, ხოლო მცირეს სამი წერტილიო ▽“<sup>1</sup>. ჩვენი კალენდრით ირკვევა, რომ ასეთი პრინციპი ჯერ კიდევ იოანე-ზოსიმეს დროს, მეათე საუკუნეში, ყოფილა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენს =-ს უდრის ნიკონის ▽; ის მეათე საუკუ-

პროვოკაცია თუ სიბევე? აღ. რემიზოვი და სომხების სუფ-სარქისი (ვახუთი საქართველო 1916 წ. № 124); Проф. В. Болотов, Из истории церкви Сиро-Персидской: Христ. чтение. 1901 г. Июнь, стр. 940.

<sup>1</sup> Проф. Н. Марр. Предварительный отчет, стр. 13; Т. Меликсет-Бегов Груаницкий извод сказания о поете „Араджавор“ Христ. Восток. т. V, вып. 2. стр. 73—111.

ნემდეც უნდა ყოფილიყოს ცნობილი, ვინაიდან იოანე-ზოსიმეს ნუსხაში ნიშნები არეული უნდა იყოს (შობა და ნათლის ღება, მაგალითად, აღნიშნულია მცირე დღესასწაულთა ნიშნით, ხოლო ოქროპირი, ანტონი ეგვიპტელი, სტრატიჯი და სხვ. — დიდი დღესასწაულის ნიშნით), ჩანს ისინი არაერთხელ გადაუწერიათ. ასეთი პრაქტიკა, როგორც ჩვენი ძველი ამბობს, „საბაწმიდის წესის“ კუთვნილება ყოფილა, აქედან გადასულა მერე ის ეგრეთწოდებულს იერუსალიმის რედაქციის ტიპიკონში.

8. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს კალენდარს პალესტინის ტოპოგრაფიისა და ქრისტიანული არქეოლოგიის შესასწაულად; ეს მხარე პალესტინოლოგიისა უკანასკნელ დროს მეცნიერებაში დიდს ყურადღებას იპყრობს, თუმცა, სამწუხაროდ, მასალები ამისათვის სასურველი რაოდენობით არ მოიპოვება. ჩვენი კალენდარი ამ მხრივ გვაძლევს უამრავს სრულიად ახალ ცნობას (სულ აღნიშნულია იმაში 80-მდე წმ. ადგილი), ხოლო არსებულს ცნობებში მას შეაქვს შესამჩნევი კორექტურა. აქ აღნიშნულია:

**ღაბა:** ბეთბაგე (26 მაისი), ბეთანია (7 სექტ. 26 მაისი), ბეტოფორი (13, 14 აგვ.), ბიტასეური (17 ოქტ.), გევბალე (21 მაისი), ემბეტობარა (30 ივნ.), ენბიგლონ-ენფიჯლონ (27, 28 სექტ. 10 ნოემბ.), ევმათქი (29 ოქტ.), ენქერიმი (28 აგვ.), იდაყუთაჲ (15 ოქტ.), კარიათიმი (2 ივლ.), მეტუბა (11 ივნ.), ფორდენანი ჰინდოეთში (20 ივლ.).

**ქალაქი:** ბეთლემი (31 მაისი, 18 ივლ., 13, 14 აგვ. 16, 18 სექტ.), იერუსალიმი (20 მაისი), კონსტანტინოპოლი (13 დეკემბ.).

**მთა:** ასამალებელი (17 სექტ. 7 ოქტ.), ზეთისხილის (9 მაისი, 18 ოქტ. 20 დეკემბ.), რუველი იოანეწმიდასა (14 ივნ.), გოლგათა (7 მაისი, 16, 19 სექტ., 12 ოქტ., 6 დეკემბ.), მოციქულთა, სინას (3 ოქტ.), სიონი (17 მარტ. 14, 16 სექტ. 17 დეკემბ.).

**გზა:** იერიქოჲსა (27 აპრ.), ბეთლემისა (18 ივლ. 13 აგვ. 2 დეკემბ.).

**სახლი:** კაიაფასი (17 აგვ.), პილატესი (21 სექტ.).

**საფლავი:** ღვთისმშობლისა (24 ოქტომბ.), რაქელის (20 თებერ.), აღდგომის (26 მაისი).

**ადგილები:** გარე ველი (25 სექტ.), გესამანია (6, 13 ივნ. 14 ივლ. 23, 24 ოქტ. 14 ნოემბ.), დავითის ბოდლის გარეგან (23 ნოემბ.), კათიზმა (13 აგვ. 2 დეკემბ.), პროპატიკე (30 მაისი, 1 ივნ. 1 სექტ.), სამწყსო (18, 24 დეკ.), სილოამი (6 სექტ.), სილონი (17 მარტი).

**მცნებული:** აფთონის (12 ივლ. 14 ნოემბ.), ბასაჲს (31 ოქტ.), ევსუქი ხუცისა (22 სექტემბ.), იოვანე პატრიარქისა (23 სექტ., 12, 15 დეკემბ.), იორდანე ხუცისა (5 ოქტ.), იუსტინიანე მეფისა (7, 8, 16, 17 აგვ. 12, 21 სექტ.,

<sup>1</sup> А. Сергій, Полный месяцеслов Востока I, 400, 440, изд. 2-ое. Проф. М. Скабиза нович. Толковый тпикон I, 452.

<sup>2</sup> ძველის გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიული და აგიოგრაფიული განმარტებისას დაზმარებას გავეყვებს ჩვენი გამოცემა Иерусалимский Канонарь VII века, 1912 г.

20 ნოემბ.), მავრიკ მეფისა (14 ივლ. 23 ოქტ.), პავლესი (18, 25 მაისი), პასარიონ ხუცისა (3 ნოემბ.), საგლახაკო (21 ნოემბ.), ფლაბიანესი [(ფლაბიანესი), 3 ივნ, 15 ოქტ.], პრომინესი (19 აგვ.).

**მონასტერი:** ბლაქერნა (5 ოქტ. 1 ივლ.), სპონდიონთა (11 აგვ.), ალექსანდრეწმიდის ეგუტერი (28 სექტ.), საბაწმიდას (12 დეკემ. 23 მარტი, შენიშენა), სინას მთის (3 ოქტომბ.), თედოსიწმიდა (10 თებ.), თევდორეწმიდა (2, 3 სექტ. 3 ივლ.), იოვანეწმიდა (14 ივნ.), მიქაელწმიდა (5 ოქტომბ.).

**ეკლესია:** აღდგომისა (17 დეკ.), ანასტისიაწმიდა (24 იანვ. 1, 30 მარტ., 21 აპრ. 4, 13 მაისი, 12, 20, 26, 28, 29 ივნ. 16, 30 ივლ. 11 აგვ. 20, 26, 27, 30 სექტ. 21, 28 ოქტ. 6, 11, 13, 18,, 22, 30 ნოემბერი, 4, 8, 17 დეკემბ.), გიორგიწმიდა (23 ნოემბ.), იაკობწმიდა (25 მაისი), ლავრენტიწმიდა (18 ოქტ.), მარტურონი (14 სექტ.), მოციქულაჲ (11 სექტ.), მოწაფეთაჲ (18 მარტ. 13, 29 აპრ. 12 მაისი, 1 ივლ. 27 ოქტ. 7, 26 ნოემბ. 17 დეკემბ.), მთავარანგელოზის მიქაელის (22 ივნ.), ნეასოფია, რესუ. მარიამწმიდა (7, 8, 16, 17, აგვ. 12, 21 სექტემ. 20 ნოემბ.), პეტრე მოციქულის (12 აგვის.), პროკობისი (2, 3 ოქტ.), რაქელის (18 ივლ.), სტეფანეწმიდა (10 სექტ. 19 ოქტომბ.), ქუზიბას ღვთისმშობლის (16, 18 იანვ.), კათოლიკე (17 თებ.) სიონი (14 სექტ. 16 სექტ. 17 დეკემბ.).

### გეჰსჰის ღახსიამთება

9. როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, ხელნაწერში უამრავი შეცდომაა, ზოგიერთი მათგანი, შესაძლებელია, იოანე-ზოსიმეს თვალთვალუღევანებითაც აიხსენებოდეს; ეს შეცდომები შემდეგნაირად შეიძლება დაიყოს:

I. ქარაგმული. ქარაგმები ხანდახან დავიწყნია გადამწერს, მაგალითად: —აქვს აქვს, ბასლი კესრიელისა —ბასლი კესრიელისა (1 იანვ.); მსგბსი —მსგბსი (1 იანვ.); მწზნისაჲ —მწზნისაჲ (2 იანვ.); გალელისაჲ — გალელი-საჲ და სხვ.

II. მოწფოლოგიური. ა) მ ხშირად არ არის იქ, სადაც საჭიროა, და არის იქ, სადაც არ უნდა იყოს [იორდანუს მეფისაჲ (23 აგვ.), პავლეს ნათელსცა (30 დეკ.), დღსნი]. ბ) ბოლოში სიტყვას აკლია ის მარცვალი ან ასო, რომლითაც იწყება შემდეგი სიტყვა: ეპისკოპოსის[სა] საბაწმიდელისაჲ (8 იანვ.), სპარსეთა[დ] და (31 იანვ.). გ) „მამადმთავარი“ ნაცვლად „მამათმთავარი“-სა (2, 24 იანვ. 1 მარტ. 25 ივლ. 22 აგვ. 4 სექტ. 9, 15 ოქტ.).

III. დიტოგრაფიული, — განმეორებულია ერთიდაიგივე სიტყვა, მაგალითად: და და სადოთ (28 თებერვ.), და და პაპიონ (27 თებერვ.). ვინაიდან იოანე-ზოსიმე თავის კალენდარს ადგენდა სხვადასხვა ადგილობრივ კალენდართა მიხედვით, მას ზოგიერთი სახელი, რომელიც სხვადასხვა კალენდარში ერთსადაიმავე წმიდანს აღნიშნავდა, ვერ გაუგია და ამიტომ ეს სახელი ერთსადაიმავე დღეს ორჯერაა განმეორებული; მაგალითად: ისიდორე პელოსელი (4 თებერ.), კესარიელთა მოწამენი: პამფილე, ვალენტო, პავლე, პორფირი, თევდულე და იელიანე (16 თებერ.) იგულისხმებიან იმავე დღის შემდეგ სიტყვებში:

„და პომეილი (პორფირი) მოწამისაჲ და მის თანა მოყუასთაჲ.“ ტერენტეოზი და ტერტიოსი (10 აპრ.), თებრონია (25 ივნ.), ამბაკუმ წინაჲსწარმეტყუელი (1 ივლ.), არკატი (30 სექტ.), ლაერენტი (18 ოქტ.), ზასილი ეპისკოპოსი და მთავარეპისკოპოსი (17 ნოემბ.), იონანე დამაშეკელი (9 დეკემბ.).

IV. ონომასტიკური. განსაკუთრებით დამახინჯებულია საკუთარი სახელები, აქვე ვიძღვევით ნუსხას წარყენილი სახელებისას<sup>1</sup>:

**იანვარში**

ნოსელრსაჲ—ნოსელისაჲ (9).  
პოლოვეკატის—პოლივეკტოს (9)

**თებერვალში**

არმოჯენოზ—ჰერმოჯენოზ (1)  
თევდორესი პელოსელისაჲ—ისიდორქ-  
სი პელოსელისაჲ (4)  
ანპოლონისი—აპოლონისი (4).  
ტაფნოტისი—პაფნოტისი (4)  
პალისტოსისი—პალესტინელისაჲ (6)  
ფოტიმისი—ფოტინსი (10)  
ბლასიონტონ—ბლასიონ (11)  
ევქსანტისი—ავქსენტისი (14)  
სალუკუ—სელეეკი (17)  
კიდუისი—კოდრატოესი (19)  
ლლოკელო—ლლკეერო (2)

**მარტში**

გერმანაესი—გერმანეესი (1,2)  
ევტროთ—ევტროპი (2)  
ევდოროპისი—ევტროპისი (3)  
ევპოლაესი—ევპოლოესის (4)  
ნესთეროესი—ნესთერეონისი (7)  
პინოესი—პიონოესი (7)  
სიონს—სილონს (17)  
ანიანსი—ანიანსი (21)  
კოდარტოესი—კოდრატოესი (22)  
დიონიოსისი—დიონოსისი (23)

**აპრილში**

დასილოანესი—სალოანელთაჲ (1)  
იერენესი—ერენსი (1)  
აღფიანსი და თევდორიაესი—ამ-  
ფიანსი და თევდოსიაესი (2, ივნ. 13)  
ალარისი—ალათოპისი (4)

<sup>1</sup> ამ შემთხვევაში საჭიროდ ეთვლი აღნიშნო შემდეგი: ჯერ კიდევ „იერუსალიმის განჩინების“ გამოცემაში, გარკვეული მოსაზრებით (გვ. 209), ხელნაწერის „მარკიკ მეფისა“ (15 აგვისტო, 22 ოქტომბერი) ზემოთ შესწორებულ იქნა როგორც „მარკიანე მეფისა“. პროფ. Goussen-ი არ იზიარებს ამ კორექტურას (Die Festordnung und der Heiligenkalenders, გვ. 29) და შენიშნავს: „Kekelidze fälscht Maurikios stets in Markianos um“. ალბათ მას აოწუქითხავს ზემო ნაშრომის მეოთხე ნაწილი, სადაც მოყვანილია ის მოსაზრებები, რომლებითაც მე უხელმძღვანელობდი აღნიშნული შესწორებისას, თორემ როგორ შეიძლება „გესამანიის ბაზილიკის“ აშენება მიეწეროს მარკიკ კეისარს (582—602 წლ.), როდესაც ის მოხსენებულია ჯერ თეოდოსიის მოგზაურობაში (530 წლის მახლობლად), მერე 555 წელს დაწერილს საბას ბიოგრაფიაში, მესამედ ანტონინეს მოგზაურობაში (570 წლის მახლობლად) და დასასრულ პულქერია დედოფლის (გარდ. 453 წ.) დროს? ალბათ „მარკიანე“ წაირყვნა და გადაკეთდა „მარკიკ“-ად ჯერ კიდევ იმ არქეტიპში, საიდანაც მომდინარეობს როგორც „იერუსალიმის განჩინება“, ისე Goussen-ის მიერ ნათარგმნი დედანი და წინაპდებარე იონანეს კალენდარი (იხ. 14 ივლისი და 23 ოქტომბერი). უკვე უნდა შევნიშნო A. Raes-ის შესახებ, რომელიც ემხრობა პროფ. Goussen-ის აზრს (Aux origines de la fête de l' Assomption en Orient.: „Orientalia christiana periodica“, Roma, 1946 Vol. 12, № III—IV, p. 263—274).

ვეტოხონ—ვეტუხონ (6)  
 აკულესი—აკულინსი (7)  
 პარმო თიოფსი—პატერმოთეოზისი (8)  
 პეტრე. მათეოზისი — პატერმოთეოზისი (9)  
 პოფიროფსი—პომფიოფსი (12)  
 ლეონდოფსი—ლეონიდეფსი (15)  
 ლეონდიოს—ლეონიდოს (16)  
 მამისა ჩუენისა აღქა მადრიკისი სკეუ-  
 ლელისა—მამისა ჩუენისა თევდორე  
 არქიმანდრიტისა სიკეუტელისა (22)  
 დამასელისა—ამასელისა (28)  
 ბალიკსი. ტროპიოფსი — ბასილიკსი  
 და ვეტროპოფსი (30)

### მაისში

მოჯლოფსი—მოქოფსი (11)  
 თეოფთიტესი—თეოფთისტესი (13)  
 ბარბანესი—ბარბარესი (14)  
 პეტრეს შინებულსა — პავლეს შინე-  
 ბულსა (18)  
 პორსელ—პროსელ (19)  
 თევდორაფსი—თევდორეფსი (ივლ. 2)  
 სვლესა—საკვრეფლსა (23)  
 მელიტონისიეფ—მელეტისიეფ (24)  
 თერაპიოსი—თერაპონტაფსი (25)  
 მელენტი—მელენტი (25)  
 მარტულისა—მარტულისა (28)  
 დიდომოს—დიდიმოს (30)  
 ერემია—ერემია (31)

### ივნისში

მემისა—მეფისაი (1)  
 პომფიოანსი—პამფილესი (3)  
 სვმოონისი—სვმოონისი (3)  
 ანდიაფსი—ანდრიაფსი (7)  
 მელოტისისი—მელეტისისი (8)  
 კოლენდოზ—ლოლენდოზ (9)  
 ტრომოთეოზისი — პრომოთეოზისი  
 (11)  
 ძუელსა—რუველსა (14)

ზოტიმე—ზოსიმე (19)  
 ემბეტო არაძვლს — ემბეტობარა  
 ძუელს (30)

### ივლისში

ანატოლიაფსი—ანასტასისა (1)  
 ქაკინთონ—იაკინთონ (3)  
 ნითერესი—ნისთერეონისი (4)  
 იერუსალშმელისა — ალექსანდრიე-  
 ლისა (7)  
 ანდრეაფსი და სტრატილატოფსი  
 წმიდისა მოწამეთა — ანდრეაფსი  
 სტრატილატოფსი წმიდისა მო-  
 წამისა (13)  
 მავრიკ მეფისა—მარკიანე მეფისა (14)  
 ვალენდოსისი—ვალენტინაფსი (16)  
 ფოკესი—ფოკაფსი (18)  
 მარკიანე ბალის დისა—მაკრინე ბა-  
 სილის დისა (19)  
 ალპოლინაროფსი — აპოლინაროფსი  
 (23)  
 არმალაოზ—ერმალაოზ (26)  
 ეფუშმესი—ეფუიმესი (28)  
 ანატონესი—ანტონინესი (28)  
 კალონიკე—კალინიკე (29)

### აგვისტოში

ლამატონისი—დამატონისი (3)  
 ევსილონისი—ევსილნისი (5)  
 ევსუგნი—ევსიგნი (7)  
 სოფონიაწმიდას—სოფია ნიაწმიდას (7)  
 ელიანოს—ემელიანოს (10, 14)  
 ულუკერა—ლუკერია (12)  
 ბეთოროს—ბეტოფოროს (14)  
 მაკაკი—მაკარი (16)  
 პაულე—პრაულე (27)  
 იერონომისი — იერონიმესი (28)  
 იან — იოვანე (28)

### სექტემბერში

თეოგდიტესი—თეოგთისტესი (3)  
 ბაბულაფსი—ბაბილაფსი (4)

ფორაჟსი — ფოკაჟსი (6)  
 ნიკლისაჲ — ნიკიელისაჲ (11)  
 კოქნიტონისი — კორნუტონისი (12)  
 თეოტისი — თეოპისტისი (20)  
 სოფონიას — სოფია ნიას (21)  
 ბაქოჟსი — ბაქოზისი (24)  
 ენფეჯლინოს — ენფეჯლონს (27)  
 მაკოსის — მოკოსის, (29)  
 კვრიკოზ პ'ლაგ — კვრიაკოზ პალეალავ-  
 რელისაჲ (29)

**ოქტომბერში**

პოლოტიანესი — პლუტიანსი (1)  
 ლაქერნან — ბლაქერნას (5)  
 ენბლაშერნოსისი — ენბლაშერნოს (5)  
 მიქაელწმიდათა თანა — მიქაელ წმიდასა  
 თანა (5)  
 ივლონტიონ — ივენტიონ (9)  
 ლარიტეწმიდას — ლავრენტიწმიდას (18)  
 პლაფონისი — პლატონისი (22)  
 მავრიკ მეფისა — მარკიანე მეფისა (23)  
 ბაბოლა — ბაბილა (25)  
 დემეტრისისი — დემეტრსი (25)

მაქსიმელს — მაქსიმილიანსი (29)  
 ოქსისტოჟსი — ქსისტოჟსი (29)

**ნოემბერში**

აკონდინეთი — აკინდონეთი (2)  
 იონაკისი — იოანიკისი (4)  
 დომონიოს — დომინოს (5)  
 ევფემიანსი — ევფრემისი (7)  
 კარტოლე — კაპეტოლე (23)  
 ალექსანდრისივე — ალექსანდრიელი-  
 საჲვე (25)  
 ელინარტუ და ეპინუ — ელინარხუ და  
 ელინუ (26)  
 ელიაჟსი — ელინოჟსი (29)

**დეკემბერში**

ივლინსისი — ივლიანაჟსი (3)  
 ნირონოჟსი — მირონოჟსი (9)  
 მამის — სამუელის (9)  
 ევქსინტისი — ავქსენტისი (13)  
 არქიმანდიკისაჲ — არქიმანდრიტისაჲ  
 (18).

10. საყურადღებოა ჩვენი ძველი ფონეტიკური მხრითაც, იმაში ჩვენ ვხედავთ შემდეგნაირ ბგერათმონაცვლეობას:

ბ > ფ: მოსეფ (3 ნოემბ.), არის „მოსებ“-იც.

ბ > პ: ამპროზი (7 დებ.), არის „ამპროსი“-ც.

გ > ჯ: ჯერასიმე (9 თებერ. 3 მარტ. 5 მარტ. 23 აგვ.), სტრატოიჯი (5 მაისი, 2 ნოემბ.), ევჯენი (29 დეკემ.), სერჯი (15 ივნ. 18 ივლ. 9 სექტემბ. 7 ოქტომბ.), ეჯლონე (13 აგვ.), ჰერმოჯენოზ (1 თებერ.); არის გ-ნიანი ფორ-  
 მაც ამ სახელებისა.

დ > ტ: არკატი (7 მარტ. 30 სექტ.), მელოტიოს (8 ივნ.), არის ეს სახე-  
 ლები დ-თაც.

ე > მ: ეზეკიშლ (30 ივლ.), დანიშლ (25 აგვ.) — დანიეშლ (1 მაისი, 10 ნოემბ.), მისაშლ (15 ოქტ. 25 აგვ.); არის ეს სახელები ე-თაც.

ზ > ხ: ამ მოვლენას უფრო ხშირად ვხედავთ საკუთარ სახელთა დაბო-  
 ლოვებაში, როდესაც ზ-ცა გვაქვს და ხ-ც, მაგრამ არის ისეთი შემთხვევები,  
 როდესაც ერთიდაიგივე სახელი ერთხელ ზ-თაა დაბოლოებული, მეორედ კი  
 ხ-თ, მაგალითად: ბაქოზ (3 სექტ.) — ბაქოს (6 ოქტ.), კლემენტოზ (23, 24  
 იანვ.) — კლემენტოს (22 ნოემბ.), როფენოზ (1 თებერ.) — როფენოს (7 აპრ.),  
 ლონგინოზ (11 თებერ.) — ლონგინოს (5 ოქტ.), პატრიკიოზ (19 მაისი) — პატ-  
 რიკიოს (19 მაისი), ტრაქოზ (27 ივნ.) — ტრაქოს (28 სექტ. 1 ოქტ.), პრობოზ

(28 სექტ.)—პრობოს (27 ივნ. 1 ოქტ.), ეპისკოპოზი (25 თებერვ. 15 დეკემბ.)  
—ეპისკოპოსი (8 იანვ. et cetera).

ზ>ფ: ეანობი—ზენობი (13 ივნ.)

შ>ფ: თევდორეა (26 იანვ.), ალაშენა (26 იანვ.), დამიანესი (4 მარ.),  
სალომეასი (25 აპრ.), პეტრეასი (9 მაისი), ისიდორეასი (21 მაისი), თეოგ-  
თისტეასი (6 სექტემბ.); არის ასეთი შემთხვევებიც: როდესაც ამავე სახელებში  
ეა შეცვლილია შ-თი.

თ>ტ: ევსტატი (28 ივლ. 24, 25 სექტ.), არის ევსტათი-ც (26 სექტ.).

ი>ე: კლიმაქსი (30 მარტ.)—კლემაქსი (31 მარტ.), პიონ (7, 8 მარტ.)—  
პეონ (11 მარტ.), ერენე (1, 16 აპრ.)—ირინე (5 ივნ.), ფილიმონ (10 მაისი,  
14 დეკემბ.)—ფილემონ (3, 21 ნოემბერი).

ი>ა: მასენე (3 ნოემბ.)—იოსებ (30, 31 აგვისტ.)

კ>გ: პოლოგარპე (26 იანვ.), აგაკი (22 მარტ. 10 მაისი, 3 ნოემბ.),  
არის პოლიკარპე და აკაკი-ც [ეს უკანასკნელი სახელი ორივე ფორმით: აგაკი  
—აკაკი,—გვხვდება აგრეთვე საბა ასურის ცხოვრებაშიც; იხ. „არილი“, ტფი-  
ლისი 1925, გვ. 1—24].

ლ>რ: მერკვრი (23 ნოემბ.)—მერკვლი (24 ნოემბ.).

ლ>ფ: ბიკტურ (8 აგვ. 3 ოქტ.), ღუმენტი (4, 5 ივლ. 5 ნოემბ.), პურ-  
ფირი (6, 23 თებერ.), პახუმი (6, 14 მაისი), არის ბიკტორ, ღომენტი, პორ-  
ფირი, პახომი.

მ>ბ: ებისკოპოსი (3 მარტ. 17 ნოემბ.), პროკობი (8 ივლ. 2 ოქტ.),  
არის პ-ანი ფორმაც.

ნ>შ: დამაშკელი (4 თებ. 9 დეკემბ.), არის „დამასკელი“-ც.

ტ>ჯ: ჯერენტო (14 მარტ. 12 აპრ.)

ტ>ლ: ლეონდიოს (12 აპრ.)

შ>ლ: როფენოზ (1 თებერ. 7, 9 აპრ. 19 მაისი), პელოსელი (4 თებერ.),  
პროსელი (15, 19 მაისი), იოსტინე (16 მაისი), ოლფიანე (26 ივნ.)

ქ>გ: ალევსანდრე (10 თებერ. 24 მარტ. 9 აპრ. 14 მაისი), ალევსანდ-  
რიელი (11 თებ. 23 მარტ.), თეოგთისტე (13 მაისი, 3 სექტემბ.)

ღ>გ: აგაპი (6, 23 მარტ. 10 სექტ. 22 ნოემბ.), ეესიგნი (7 აგვ.).

ხ>შ: ზაქშეოს (17 ნოემბ.), ენბლაშერნოს (5 ოქტომბ.).

აქ ერთი თავისებურებაც უნდა აღვნიშნოთ. ტექსტში გვაქვს ხოლმე ასეთი  
სახელები: პეტრე-პავლეთაა (28 ივნ. 3 ივლ), კოზმან-დამიანეთაა (25, 27 ოქტ.,  
1, 29 ნოემბ.), ანდრონიკეთი (28 სექტ.), კლეოპათეი (30 ოქტომბ.), აკინდი-  
ნეთი (2 ნოემბ.). ეს არის აეთ: სუფიქსიანი კრებითი სახელები (ვ. დონდუა,  
თბილ. სახელმწ. უნივ. შრომები XXXIII ს, 1948 წ. გვ. 133—166) იმ კატე-  
გორიისა, როგორც შემდეგი: „წამებაა წმიდათა მინა ერმოგინეთი“, „წამებაა  
წმიდათა ევსტრათეთი“ (ცხოვრება იოანე-ექვდიმესი, ი. ჯავახიშვილის გამო-  
ცემა, გვ. 29—30), „წამებაა წმიდათა კეთილადმძლეთა მოწამეთა გურია სამონა  
აბიბოსეთი (A 95, გვ. 1069 ხ).

11. ახლა რამდენიმე სიტყვა ძეგლში დაცული ონომასტიკონის  
შესახებ. ამ მხრივ პირველ ყოვლისა ყურადღებას იპყრობს სახელთა დაბო-

ლოება, სახელდობრ: ა) ბერძნული ოს-ით: მაქსიმოს, ვალენტოს, ნიკიფოროს. იგნატიოს, ადრიანოს, ალექსანდროს, ბენეფორეოს, ტრომოთეოს, ბასილიოს, მელიოდოს და სხვ. Genetivus-ი ასეთი სახელებისა მოცემულია ასე: ვაროსისი (15 ივლ. 24 ოქტ.), ვალენტოსისი (27 ოქტ.), დროსიდოსისი (6 ნოემბ.), მოდისტოსისი (17 დეკ.), იგნატიოსისი (19 დეკემ.), კორნელიოსისი (30 დეკემ.), ანდრიანოსისი (26 აპრ.), დომინოსისი (26 აპრ.), ზოტიკოსი (31 დეკემ), მელეტოსისი (8 იენ.), სერგი[ო]სისი (8 აგვ. 6 ოქტ. et cet.).

ბ) ხშირად ოს-ისათვის ჩამოუქრიათ ს და სახელი დაბოლოვებულია ოს-ით: მაქსიმო (12 აპრ. 3 აგვ.), თეოკრიტო (2 მარტ.), კლეონიკო (3 მარტ.). პინო, ნისტერო (7 მარტ.), პოლიკარპო (21, 23, 18 თებერ.), ბონიფატიო (13 მარტ.), კოდრატო (22 მარტ.), ეპტასტომატო (24 მაისი), თერაპონტო (25 მაისი), მარკო, ნეოფიტო, ზენონო (14 ოქტ.), ფლაბიანო (15 ოქტ.), ანიკიტო, ფოტო (16 ოქტ.), აბერკო (21 ოქტ.), მერკვლო (24 ოქტ.), ანტიკო, ანდრიანო, არტემიდორო (28 ოქტ.), ჯერენტო, ავრიკანო, პორფირო (12. აპრ.), ლეონიდო (15 აპრ.), მარტენო (6 ივლ.), იაკინთო (11 ივლ.), ზაბინო (22 ივლ.). ასეთ შემთხვევაში Genetivus-იც შესაფერისია: მარკოსი, ნეოფიტოსი და სხვა.

გ) სახელს nominativus-ში მიუღია ბერძნული აკუზატიური ფორმა: თევდოსიონ (12 თებერ), პაპიონ, დიოდორონ (27 თებერ.), საბინონ (13 მარტი), ალექსიონ (17 მარტ.), მალქონ (20 მარტ.), ვეტკზონ (6 აპრ.), ანდრიონ (4 ივლ.), იუსტონ (14 ივლ.), დალმატონ (3 აგვ.), ფლორონ (18 აგვ.), აგათონიკონ (22 აგვ.), პელეონ (19 სექტ.), კორნუტონ (12 სექტ.), პანფილონ (28 სექტ.), კორნელეონ (31 ოქტ.).

ზემოაღნიშნულ ფონეტიკურ მოვლენათა და ონომასტიკურ თავისებურებათა გამო ერთიდაიგივე სახელი ძეგლში წარმოდგეილია სხვადასხვა ფორმით. საჭიროდა ვრაცხთ აქვე დაეურთოთ ნუსხა ასეთი სახელებისა ანბანის რიგზე.

- |  |  |
|--|--|
| ალექსანდრე—ალეგსანდრე—ალექსანდროს (15 მაისი)                           | (15 ნოემბ. 3 აგვ. 23 დეკ.) — ივსტკ-ნიანოს (16 ნოემბ.)  |
| ესტატი (24, 25 სექტ.) — ევსტათი (26 სექტ.) — ევსტატი (28 ივლ.)         | იპოლიტე (30 იანვ. 24 ოქტ.) — ვპო-ლიტე (18 ოქტ.)  |
| ეტკფანე (12 მაისი) — ეპიფანე (13 მაისი, 18 ნოემბ.)                     | კორნელი (29 ოქტ.) — კორნელიოს. (20 ოქტ. 30 დეკ.) — კორნელეოს (20 ნოემბ.) — კორნელეონ (31 ოქტომ.) |
| ვალენტი (26 იანვ.) — ვალენტინე (17 მარტ.)                              | ლეონიდე — ლეონიდო (15 — 16 აპრ.)   |
| თევდორი (11 იანვ.) — თევდოსიონ (12 თებ.)                               | მაქსიმო (12 აპრ. 26 აგვ.) — მაქსიმოს (28 აპრ. 21 იანვ.) — მაქსიმე (13 აგვ.)                      |
| თორსო (10 თებ. 12 ივლ.) — თურსო (8 აგვ. 22, 23 სექტ) — თვრსო (18 ოქტ.) | მელეტი (12 თებ. 23, 24 ოქტ.) — მელენტი (25 მაისი)  |
| იგნატი (29 იანვ.) — იგნატი (30 იანვ. 20 დეკ.) — იგნატიოს (19 დეკ.)     | მელიოდი (13 მაისი.) — მელიოტიოს (8 იენ.) — მელიოდოს (14 იენ.)                                    |
| ივსტკნიანე (1 იენისი) — ისტკნიანე                                      |  |

პატერმოთეო (8 აპრ.) — პატერმოთეოზ (9 აპრ.) — პატერმოთე (10 აპრ.)  
 პელეოს (11 სექტ.) — პელეონ (19 სექტ.)  
 პიონო (7, 8 მარტ.) — პეონ (11 მარტ.)  
 პოლოგარპე (26 იანვ.) — პოლოკარპო (21, 23 თებ.) — პოლიკარპო (28 თებ.)  
 — პოლიკარპე (22 თებ.)  
 პომეილი (16 თებ.) — პომეილიოს (26 თებ.) — პორფირი (6 თებ.) — პორფიროზ (23 თებ.) — პურფირი (16 თებ.)  
 რომანა (25 სექტ.) — ჰრომანე (30 აპრ. 1 მაის.) — რომანოს (1 მაისი) — რო-

მანიოს (11 დეკემბ.)  
 როფენოზ (1 თებ.) — როფენი (7 აპრ.)  
 — როფინო (9 აპრ.)  
 საბინონ (13 მარტ.) — საბინოს (26 მარტ.)  
 სპირიდონ (12 დეკ.) — სფურიდონ (10 დეკ.)  
 ტერენტეოზ — ტერტიოს (10 აპრ.) — ჯერენტო (12 აპრ.) — ჯერენტოს (14 მარტი).  
 ტრაქოს (28 სექტ. 1 ოქტ.) — ტრაქოზ (27 ივნ.) — ტარაქოს (11 ოქტ.).

12. კალენდარში გამოყენებულია ბერძნული წყაროები, ეს, სხვა არა იყოს, ნათელია იმითაც, რომ, როგორც აღვნიშნეთ, საკუთარი სახელები ბოლოვდებიან ოს-ითა და ონ-ით (accusat. ფორმა). გარდა ამისა, არის კიდევ სხვა საბუთიც ამისა, რომელიც ამასთანვე ადასტურებს, რომ მთარგმნელს მაინცა-დამაინც კარგად არ სცოდნია ბერძნული. 1) „თებერვალს ვკითხულობთ: „ბლასიონტონ ხუცისაჲ“; სახელი ბლასიონტონ არ არსებობს, წარმოდგას იგიდან, რომ ბერძნულში იკითხებოდა: Βλασιον τὴν περὶ τὴν τερῶν; მთარგანელმა შეაერთა სახელი და ართრონი და მიიღო ბლასიონტონ. 2) ოქტომბრის 5-ს აღნიშნულია: ენბლაშერნოს, რაც უნდა იყოს უხეიროდ წაკითხული და გაგებული ჰქონდეს Βλαχέρσιον. 3) ენფეჯლონი (27 სექტ.) და ენბიჯლონი (28 სექტ. 10 ნოემბ.) ერთისადაიმავე დაბის სახელი უნდა იყოს, წარმოიშვა ეს სახელი აგრეთვე არასწორად წაკითხულის და გაგებულის ჰქონდეს Βηγγλον-საგან. 4) სალუკუ (17 თებერვ.) არის ბერძნული τὸν Σαλουαίου resp. Σελεαίου. 5) კიდუ (19 თებერვლ) არის ბერძნული τὸν Κοδῶν = Κοδράτου 6) ელინარხუ და ელინუ, (26 ნოემბ.) არის ბერძნული genetivus-ის ὁν ფორმა. 7) მშვდობაჲ (21 ოქტ.) არის თარგმანი ბერძნული ირინესი. 8) დროსიდოსისი არის genet. დროსიდოს-ისაგან, უკანასკნელი კი თავის მხრივ არის ბერძნული genetivus-ი Δρόσις - Δρόσιδος.

13. კალენდარი ამოკრებილია ლიტურგიკული სვინაქსარიდან, რაც იქიდანა ჩანს, რომ, მსგავსად ჩვენ მიერ გამოცემული „იერუსალიმის გონჩინებისა“, ამათივე დღეს ვპოულობთ შემდეგს ტიპიკარული ხასიათის შენიშვნებს: „წმიდათაჲ“ (7 მარტ. 9 აპრ. 14 აპრ.), „ყოველი წმიდათაჲ“ (1 აპრ. 3 ნოემბ.), „მარტკლთაჲ“ (29 მაისი), „ყოველი მოძღუართაჲ“ (28 მაისი), „ყოველი სატფურისაჲჲ“ (12 დეკემბ.). ეს ნიშნავს, რომ აღნიშნულ დღეებში ღვთისმსახურება შესრულდება იმ წესით, რა წესიც დადებულია წმიდათა, მარტკლთა, და სატფურისათვის.

14. ჩვენი გამოცემის შესახებ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: ტექსტში შესწორებულია ყველა შეცდომა, რომელნიც ზემოთ, თავის ალაგას, აღვნიშნეთ; ქარაგმებრივ ყველგან გახსნილია შემდეგნაირად: 1) იწე—იოვანე, ეცნაიდან

თვით ხელნაწერში ვპოულობთ ამ სახელს სრულის ფორმით (7 იანვ. 29 იანვ. 31 იანვ. 20 მარტ. 29 მარტი. 14 აპრ. 8 მაისი, 3 ივნისი). 2) თ<sup>ე</sup> თ<sup>ე</sup>კ<sup>ე</sup> — თევდორე თევდორ<sup>ე</sup>, როგორც ამას სრული ფორმით ხელნაწერშიც ვხვდებით (26 იანვ. 10 მარტ. 21 აპრ), მსგავსად ამავე ძირის სახელებისა: თევდოსი (11 იანვ. 19 იანვ. 12, 13 აპრ.), თევდოტე (19 იანვ.), თევდორიტე (28 მარტი). 3) პ<sup>ე</sup>ტ<sup>ე</sup>რ<sup>ე</sup>კ<sup>ე</sup> — პატრიაქი, როგორც დაწერილია სრულად 14 თებერვალს. 4) კ<sup>ე</sup>ნ<sup>ე</sup>პ<sup>ე</sup>ლი კონსტანტინეპოლი, როგორც ვკითხულობთ ამ სახელს 23 დეკემბერს. 5) თვეთა სახელები: ს<sup>ე</sup>კ<sup>ე</sup>დ<sup>ე</sup>ბ<sup>ე</sup>რ<sup>ე</sup>სა, ო<sup>ე</sup>კ<sup>ე</sup>დ<sup>ე</sup>ბ<sup>ე</sup>რ<sup>ე</sup>სა, ნო<sup>ე</sup>ბ<sup>ე</sup>რ<sup>ე</sup>სა დე<sup>ე</sup>კ<sup>ე</sup>ბ<sup>ე</sup>რ<sup>ე</sup>სა გახსნილია ისე, როგორც ვკითხულობთ 203 ხ ფურცელზე: სეკდენბერსა, ოკდონბერსა, დეკენბერსა. 6) დ<sup>ე</sup>ლ<sup>ე</sup>ს<sup>ე</sup>ბ<sup>ე</sup>ლი — დღისსაძიებელი, როგორც 203 ხ ფურცელზე იკითხება სრულიად.

## ტექსტი

### კრიბაჲ თთუეთა წალიწდისათაჲ

თთუესა იანვარსა აქუს დღ<sup>ე</sup> ლა: დღისსაძიებელი არარაჲ: დღეთა აქუს ი თამი: და ღამეთა იღ თამი.

